პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 214 (13299) | პარასკევი, 10 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მიფრინავს „კოსმოსი"-85

საქმეების ცნობა

1965 წლის 9 სექტემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოს-85"-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო 1962 წლის 16 მარტს გამოცხადდა.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,6 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 319 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 212 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზეა:

რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ბარაქიანი რთველი ექნებათ წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებს. განსაკუთრებით კარგია მოსავალი მეშვიდე ბრიგადაში, რომელსაც 37 ჰექტარი ვენახი აქვს. თვითეული ძირი ვაზი დახუნძლულია ოქროსფერი მტევნებით. ბრიგადა საშუალოდ ჰექტარზე 75 ცენტნერ ყურძენს მოელის. **სურათზე:** ბრიგადირი ჯ. დათუაშვილი ყურძნის სიმწიფეს ამოწმებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი აზრის მაძიებელნი

ადამიანი — მოაზროვნე, ადამიანი — შემოქმედი უსწრებს დროს, დამაჯერებლად იყოროს ჯერ გუშინ დაუპყრობელ მწვერვალებს. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ და ვიღვწით ჩვენი საზოგადოების განვითარების საუკეთესო ეტაპზე, რომელსაც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა ჰქვია.

და აი ამ საერთო-სახალხო შრომითს ლაშქრობაში დიდი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის საწარმოებში მომუშავე რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს — ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის მედროშეებს. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ამ გონივრული წინადადებების ავტორთა ორმოცდაათიათასანი არმია. ისინი გაერთიანებული არიან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოში შემავალ შვიდასზე მეტ პირველად ორგანიზაციაში.

ორი წლის წინათ საქართველოს რაციონალიზატორები და გამომგონებლები პირველად შეიკრიბნენ თავიანთ ყრილობაზე. მას შემდეგ რესპუბლიკურ საბჭოსა და მასში გაერთიანებული პირველადი ორგანიზაციების მოღვაწეობის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა შვიდწლედის რაციონალიზატორული ფონდის შესაქმნელად სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და ფართოდ გაჩაღება, ბრძოლა და საზოგადოებრივი კონტროლი წარმოებაში გონივრული წინადადებებისა და გამოგონებათა დროულად დანერგვისათვის.

ქართველ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა სახახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მტკიცედ იცავენ მოცემულ სიტყვას. ორმაგად გაზარდეს რა წინათ ნაკისრი ვალდებულება, ისინი წარმატებით იბრძვიან, რათა გონივრული წინადადებებისა და გამოგონებათა წარმოებაში დანერგვის გზით შვიდწლედის ფონდში შეიტანონ 100 მილიონი მანეთი. ამაზე ნათლად მეტყველებენ ციფრები: განვლილ ექვსწელიწადნახევარში რესპუბლიკის საწარმოებში დანერგა 93 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რითაც საწარმოთა კოლექტივებს საშუალება მიეცათ დაეზოგათ ოთხმოცდაოთხმეტი მილიონი მანეთი.

ტექნიკური სიახლისათვის, წარმოებაში შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განხორციელებისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ თბილისისა და ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები, აგრეთვე რუსთავი და ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, ჰიათურელი მაღაროელები, თბილისელი მეტროშენებლები, ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ნოვატორები.

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა მრავალათასიანი არმია ამაყობს თავისი რაციონალიზატორებითა და გამომგონებლებით, რომლებიც ღირსეულად ატარებენ რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორისა და რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლის საპატიო წოდებებს. მათს რიგებში არიან ი. ხაზარაძე, ე. სოლომკო, ტ. გვარამაძე, მ. აკოფოვი, ი. მირზოევი და მრავალი სხვა, რომლებმაც მრავალი ათასი მანეთის ფულადი ეკონომია მისცეს მშობლიური საწარმოს.

მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ამ მხრივ სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და ორგანიზაციის საქმეში ყველგან როდი გვაქვს დამაკმაყოფილებელი სურათი. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ზოგიერთი პირველადი ორგანიზაციები უყურადღებობას იჩენენ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შრომითი ლაშქრობისადმი. ასეთებს მიეკუთვნებიან თბილისის „საქსოფლმანქანა", „ელექტროგამშვები", ენგურის ელესადგურის და ქალაქის კომბინატი და სოხუმის მთელი რიგი საწარმოები, რომლებსაც დღემდე არ უსარგებლიათ ვალდებულებანი და მონაწილეობას არ იღებენ შვიდწლედის ეკონომიური ფონდისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. აღნიშნულ საწარმოთა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ძირეული ორგანიზაციებს მეტი ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ.

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს მეორე რესპუბლიკური ყრილობა.

წარმატებას გისურვებთ, ამხანაგებო!

ტყიბულელ მეჩაიეთა გამარჯვება

გეგმის გადამეტებით იქნება 400 ტონა ჩაის ფოთოლი

საუბარი საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. კ. ლომაძესთან

ჩაის კულტურამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ტყიბულის სოფლ ი ს მეურნეობაში. ტყიბულელებმა შეიყვარეს ჩაის პლანტაციები, მოვლა-დამუშავებას არ აკლებენ და კარგ მოსავალსაც იღებენ. ტყიბულის ჩაის ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქცია მაღალ შეფასებას იმსახურებს, — განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ლომაძემ. მეჩაიეებმა სექტემბრისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

მოკრეფეს და მრეწველობას ჩაბარეს 4.051 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული ნაცვლად 4.050 ტონისა. მოკრეფილი ფოთლის 69 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ამ გამარჯვებაში შეეგმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, მეჩაიემ ისახელა თავი. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ უფრო ბრძოლისუნარიანი გახდნენ, სათავეში ჩაუდგნენ მეტი ჩაისათვის ბრძოლას. შვიდწლედის ზღუდე აღებულია!

დიდ წარმატებას მიაღწია სოფელ ძირეულის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. სუფრომაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ს. ცნობილაძე). ამ კოლმეურნეობას წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 192 ტონა ჩაის ნედლეული, უკვე მოკრიფა 242 ტონა. საშუალოდ ჰექტარზე მოღებულია 5.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ბრიგადამ, რომელსაც იპარმ სუფრომაძე ხელმძღვანელობს, 14 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე 5.350 კილოგრამი ნედლეული მიიღო.

ახალსოფლის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ქათამაძე, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ქათამაძე) მოკრიფა 154 ტონა „მწვანე ოქრო" ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 135 ტონისა. ამ კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელია ს. ცაქიფურიშვილი, მოკრიფა 43 ტონა ნაცვლად 38 ტონისა. ტყიბულელთა გამარჯვებამი სერიოზული წვლილი შეიტანეს ნოვატორმა მეჩაიეებმა. ძიროვნელმა მეჩაიემ ივდოთი სოფრომაძემ 0,4 ჰექტარზე მოკრიფა 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 3.000 კილოგრამისა. ციალა ფორჩხიძემ მოკრეფილი აქვს 3.100 კილოგრამზე მეტი.

ახალსოფლის კოლმეურნეობაში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრმა მეჩაიემ ისახელა თავი და წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. ახლა კი ვალდებულების განაღდებისათვის იბრძვიან. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტისა სახელმწიფოს შრომითი მამაცობა. მოსავლელად მიჩენილი ნახევარი ჰექტარი პლანტაციები საუკეთესოდ არის დამუშავებული და მოსავალსაც უხვად იძლევა. ამ მეჩაიემ უკვე მოკრიფა 5.630 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ტყიბულელი მეჩაიეები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და **მ ა ნ ქ ა ნ ა ს ა ნ ს ფ ლ ი ო ნ ი ს ფ ლ ი ო ნ ი ს ბ ე გ ე ბ ს ფ ლ ი ო ნ ი ს ბ ე ბ ს ფ ლ ი ო ნ ი ს ბ ე ბ ს ფ ლ ი ო ნ ი ს ბ

პარტიული ცხოვრება

პარტიული ქრონიკა

რაიკომის პლენუმზე

ახალციხე. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა განიხილა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხი. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი შ. გრიგოლიშვილი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიკომის ბიურო სისტემატურად განიხილავდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს და სახავდა საქმიან ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამის შედეგად ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა მნიშვნელოვნად გარდაქმნა. ამაღლდა მათი ბრძოლისუნარიანობა. მომხსენებელმა მოიყვანა ისეთი მაგალითებიც, როცა პარტორგანიზაციების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს, სუსტია კომუნისტთა ავანგარდული როლი.

კამათში მონაწილეობდა 8 კაცი.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

მუდმივმოქმედ სემინარზე

ბიათური. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტიულმა კომიტეტმა ახალგაზრდა კომუნისტებისათვის შექმნა პარტიული მშენებლობის საფუძვლების შემსწავლელი მუდმივმოქმედი სემინარი, რომელსაც პარტიული კომიტეტის მდივანი ა. მეცხოვრიშვილი ხელმძღვანელობს. სემინარში გაერთიანებული არიან სამ წლამდე პარტიული სტაჟის მქონე კომუნისტები, პარტიის წევრობის კანდიდატები და კომკავშირელები, რომლებიც პარტიაში შეასვლელად ემზადებიან.

ახალგაზრდა კომუნისტები ნ. ბაზღაძე, ლ. ყორეოლიანი, გ. ლაიშელი, მ. ცერცვაძე, ვ. მაჭავარიანი, ნ. გოგატიშვილი, რ. რობაქიძე გამორჩეული წარმოებაშიც და პარტიული მშენებლობის საფუძვლების დაუფლებაშიც.

უწინარეს ყოვლისა — ხარისხი

იბრძოდე პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის — ეს ნიშნავს უფრთხილდებოდე საქართველო მარკის ღირსებას, ანგარიშს უწევდე მომხმარებლის მზარდ მოთხოვნებს, იცავდე კოლექტივის პრესტიჟს.

ეს საკითხი წინელ ზოლად განიხილა თბილისის ლითონთა კონსტრუქციების ქარხნის კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ. მართალია, პარტიურმა ანგარიში, რომელითაც მისი მდივანი ლ. ხაჩიძე გამოვიდა, ზოგადი იყო და არ აძლევდა ტონს კრებაზე სიტყვებით გამოსულ კომუნისტებს პრინციპულ სიმაღლეზე აეყვანთ გადაუჭრელი საკითხები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ილაპარაკეს ყველაფერზე, მათ შორის იმაზეც, რაც მომხსენებელს გამორჩა, გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი.

დიდხანს ემახსოვრებათ კომუნისტებს ქარხნის მთავარი ინჟინრის გ. ფანცულაიას გამოსვლა, რომელმაც ნათლად დახატა საწარმოს არასახარბიელო სურათი.

— ჩვენი ქარხანა, — თქვა მან, — თითქმის ოთხი ათეული წლისაა. იყო დრო, როცა ეგი ლითონთა კონსტრუქციებს ამზადებდა მთელი ამიერკავკასიისათვის. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა თითქმის იმავე კორპუსებში გვიხდება მუშაობა, როგორც ქარხნის არსებობის პირველ წლებში. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია საამქროთა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, გართულებული შრომა, ზოგჯერ კი იგი შეუძლებელიც ხდება, რადგან ლია ცისქვეშ გვიხდება მუშაობა. მეტად ვინანურდება ქარხნის რეკონსტრუქციის საკითხი. ყოველგვარ ეს იწვევს ეკონომიტელობას მისგან გამომდინარე შედეგებით, პარტბიურო ჯერ კიდევ ღიად ვერ სწვდება წარმოების საარსებო საკითხებს, არ ახორციელებს სათანადო კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას, მოწონებე გამოცდილების პროპაგანდას.

სიტყვას იღებს ლითონკონსტრუქციების უბნის ოსტატი ი. გლეხანაე. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში შესაჩნევია ქარხნის პროდუქციის ერთგვარი გაუმჯობესება. მაგრამ ეს ქარხნის კოლექტივს თვითდაშვიდების საბაბს არ აძლევს, მით უმეტეს, რომ ტექნოლოგიური პროცესების დაოვალის რამდენიმე შემთხვევამ ჩრდილი მიაყენა ქარხნის მარკის ღირსებას. ყველაზე გულსატკივნი ის იყო, რომ ერთერთ მოძმე რესპუბლიკაში — ყაზახეთში მთლიანად დაიწუნეს ქარხნის ნაბადი. ორატორი პროდუქციის დაბალ ხარისხს მიაწერს ორ მიზეზს: არაკეთილსინდისიერ მოწოდებულ მასალას და მუშათა, განსაკუთრებით ამწყობთა, დაბალ კვალიფიკაციას. — ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვყავს ისეთი ამწყობები, — თქვა მან, — რომლებსაც შეიძლება ვანდოთ რთული კონსტრუქციები. ჩვენ დაკვინებით უნდა ვასწავლოთ მუშებს, ხოლო სწავლის მაძიებლებმა მეტად უნდა იზრუნონ თავიანთი საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ზოგადი პორიზონტის გასაფართოებლად. ამაში მათ ქმედითად უნდა დაეხმაროს ახალარჩეული პარტბიურო.

კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო კრებაზე ქარხნის დირექტორის ალ. ბუაძის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ გეგმის შესრულების საეროო მაჩვენებლების მიღმა იმალება პარტიული რარგანიზაციისა და მთელი კოლექტივის სერიოზული ნაკლოვანებანი. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქარხანაში ყოველი სახის დარღვევას შეგხვდებით. და ეს პირველ რიგში ეხება საწარმოო, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევებს.

კრებაზე აღინიშნა, რომ არცთუ იშვიათია სამუშაოზე დაგვიანების, სამუშაოს გაცდენისა და დროის ფიზიზნიდ ხარჯვის ფაქტები. არის წერილობანი ქურდობის, მაგალი სასმელების უზომო სმისა და სხვა ამორალური ქცევის შემთხვევები. სამწუხაროდ, წესრიგის დამრღვევთა შორის შეხვდებით კომუნისტებსაც. ყველაფერი ეს იმით უნდა ახსნას, რომ შესუსტდა მობთხოვნელობა, სერიოზული ნაკლოვანებანია პოლიტიკურ სწავლებასა და საგანგებო მუშაობაში. მიმდინარე წლის გაგვლილ პერიოდში ქარხანაში მოეწყო მარტო 7 ლექცია და 3 მოხსენება. ამასთან ამ ღონისძიებებსაც ცოტა მსმენელი დაესწრო. ფაქტოლექტივი შემთხვევიდან შემთხვევამდე იკიბება. მომხსენებელმა 8 აგიტატორიდან მხოლოდ ერთი შეაქო, დანარჩენების შესახებ კი თქვა, რომ მათი საუბრები უსაგნოა, საწარმოს, კოლექტივის ცხოვრების კონკრეტულ მაგალითებთან არ არის დაკავშირებული. სუსტად მეშაობს ზემოქმედებისა და აღზრდის ისეთი საშუალება, როგორიც არის ამხანაგური სასამართლო.

ქარხნის პარტბიუროს წევრმა, ელექტრომონტიორმა ვ. ტრუტნევმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებზე. მან თქვა, რომ ბოლო ხანებში ქარხანა ბევრ ტექნიკურ სიახლეს ეზიარა, და ეს მან კონკრეტული ფაქტებით დაადასტურა. მაგრამ ამასთანავე აღნიშნა, რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას აქ ჯერ კიდევ სათანადო გაქანება არ მიუღია. უფრო მეტი. ზოგიერთ უბანზე ხელთ შრომა სპარბობს. შემდეგ დებლები ხელის იარაღებით მუშაობენ. ამასთან ერთად ინჟინერ-ტექნიკოსებმა ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორიის ნაცვლად იქ დამზადებული ცენტრის ნაცვლად ... [illegible] ... ცენტრის ნაცვლად იქ დამზადებული აქვთ 1.637 ცენტნერი, რაც გეგმის 67,5 პროცენტს შეადგენს. **წულუკიძის** რაიონი. ცნობილია მეაბრეშუმეობის განვითარებით. აქაურმა მეაბრეშუმეებმა დამზადეს 1.597 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, გეგმა კი 2.260 ცენტნერს თვალისწინებს. ჩანს, წულუკიძელებმა დაიოკეთეს კარგი ტრადიცია გეგმის შესრულებაში. მაგრამ შეიძლება რეზერვები გამოინახოს და წულუკიძელებმა უნდა იზრუნონ დავალების შესრულებისათვის.

ამ საქმეში ჩამორჩნენ **წყალტუბოელები.** მათ დაამზადეს 1.591 ცენტნერი პარკი ნაცვლად 2.215 ცენტნერისა. **გეგეჭკორის** რაიონში 2.170 ცენტნერის ნაცვლად დამზადეს 1.950 ცენტნერი. **ლანჩხუთელებს** დავალება 89,4 პროცენტით აქვთ შესრულებული. **ყვარლის** რაიონში აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 64,4 პროცენტით **ზესტაფონის** — 64,4, **თერჯოლის** — 57,5, **აბაშის** — 72,8 **ცხაკაიას** — 82,9 **ხობის** — 95,9, **წალენჯიხის** — 96,3, **ჩხოროწყუს** — 94,5, **მახარაძის** — 80,3 **ჩოხატაურის** რაიონში — 62,4, **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკაში — 93,6 პროცენტით.

ამ მონაცემებიდან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა უთუოდ შესრულდეს.

დავძლიოთ ჩამორჩენა

აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი მიიწურა. რესპუბლიკის ბევრ რაიონში სეზონისულად მოეკიდნენ აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობას, და მეფეებიც კარგი აქვთ. ამ მხრივ თავი ისახელეს **ზუგდიდის** რაიონის მეაბრეშუმეებმა. მათ წლიური გეგმით უნდა დამზადებინათ 2.820 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, ფაქტიურად დაამზადეს 2.943 ცენტნერი, ანუ გეგმის 104,4 პროცენტი. წარმატებას მიაღწიეს **ლაგოდეხის** რაიონის მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც დაამზადეს 1.816 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად 1.640 ცენტნერისა. ეს დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს **თელავის, წითელწყაროს, ოჩამჩირის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, ტყიბულისა** და **აჯარის** ასს რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა.

მაგრამ საერთო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. რესპუბლიკაში დამზადებული იყო 34.165 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41.000 ცენტნერისა. ეს გეგმის 83,3 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მეაბრეშუმეობის [illegible] **სამტრედიის** რაიონს მეაბრეშუმეობა [illegible] ... ცენტრის ნაცვლად იქ დამზადებული აქვთ 1.637 ცენტნერი, რაც გეგმის 67,5 პროცენტს შეადგენს. **წულუკიძის** რაიონი. ცნობილია მეაბრეშუმეობის განვითარებით. აქაურმა მეაბრეშუმეებმა დამზადეს 1.597 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, გეგმა კი 2.260 ცენტნერს თვალისწინებს. ჩანს, წულუკიძელებმა დაიოკეთეს კარგი ტრადიცია გეგმის შესრულებაში. მაგრამ შეიძლება რეზერვები გამოინახოს და წულუკიძელებმა უნდა იზრუნონ დავალების შესრულებისათვის.

ამ საქმეში ჩამორჩენენ **წყალტუბოელები.** მათ დაამზადეს 1.591 ცენტნერი პარკი ნაცვლად 2.215 ცენტნერისა. **გეგეჭკორის** რაიონში 2.170 ცენტნერის ნაცვლად დამზადეს 1.950 ცენტნერი. **ლანჩხუთელებს** დავალება 89,4 პროცენტით აქვთ შესრულებული. **ყვარლის** რაიონში აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 64,4 პროცენტით **ზესტაფონის** — 64,4, **თერჯოლის** — 57,5, **აბაშის** — 72,8 **ცხაკაიას** — 82,9 **ხობის** — 95,9, **წალენჯიხის** — 96,3, **ჩხოროწყუს** — 94,5, **მახარაძის** — 80,3 **ჩოხატაურის** რაიონში — 62,4, **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკაში — 93,6 პროცენტით.

ამ მონაცემებიდან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა უთუოდ შესრულდეს.

მეგოსტნეთა წარმატება

ბოსტნეულის უხვ მოსავალს იღებენ თერჯოლის რაიონის სოფელ კვახვირის მებოსტნეები. მათ დიდი გადაკარბებით შეასრულეს წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 ტონისა, დაამზადეს და სახელმწიფოს მიაკიდეს 1.031 ტონაზე მეტი ბოსტნეული. ბოსტნეულით მიღებულმა შემოსავალმა 75 ათას მანეთს გადაკარბა.

კვალიფიკაციურმა მებოსტნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დაამზადონ 200 ტონა ბოსტნეული.

ვ. კუტალაძე,
სოფლკორი.

სანგრევში დაძაბულ შრომას ახალი დატვირთვა მიემატა. მნგრეველმა ახალი პროფესიის დაუფლება დაიწყო. დაძაბული მეცადინეობის სამმა თვემ გაიარა. ბ. ლაღაძემ ზეინკლის დიპლომი მიიღო. იმ დღიდან მოყოლებული ბრიგადირი თავისი ხელით აკეთებს კონვეიერებს, მომნგრეველი ჩაქუჩებისა და კუმში ჰაერის მილგაყვანილობის რემონტს.

ეს სიახლე ფართოდ დაინერგა შახტში.

ახალი პროფესიის დაუფლებამ კარგი შედეგი გამოიღო. ამ ბოლო ხანებში მიმშვნელოვნებულ, შემცირდა სამთო მექანიზმების მოცდენა, გადიდდა მათი წარმადობა, ამაღლდა ბრიგადის წევრების შრომის ნაყოფიერება.

ბ. ლაღაძის კომუნისტური შრომის ბრიგადას მიღწევები, რა თქმა უნდა, კარგი აქვს. მაგრამ ბრიგადირს ეს როდი აკმაყოფილებს. ამიტომ იყო, რომ ერთ-ერთ კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა. მთავარი, რაზედაც მეშახტეებმა შეაჩერეს ყურადღება, ეს იყო შინა რეზერვების გამოყენების საკითხი. რეზერვი, რომელზეც ბრიგადის წევრები შეჩერდნენ, ეს არის სანგრევის მუდმივი სათადარიგო ხაზის შექმნა.

შახტში ათასგვარი მოულოდნელობა ხდება. ზოგჯერ ლავი ჩამოინგრევა და სათბობის ამოღება ფერხდება. მოქმედი სანგრევი ხასხლეტს მიადგება და სამუშაო ფრონტი. მოულოდნელად გამოთავდება. ასეთი შემთხვევის დროს მეშახტეები დაუყოვნებლივ გადადიან მოსამზადებელ სამუშაოზე. სანამ ახალი ლავი არ მომზადდება და ამოქმედდება, მეშახტეები სათბობს ვერ იღებენ.

ბ. ლაღაძემ წინადადება წამოაყენა, რომ მეშახტეებმა ქვანახშირის მოპოვებაში პარალელურად სამთო-მოსამზადებელი სამუშაოები აწარმოონ, ეს აზრი ბრიგადის წევრებმა მოიწონეს.

ახლა ყოველ ცვლაში ორი კაცი გამკვეთის გაყვანაზე მუშაობს, ამზადებს სათადარიგო ლავას. მოქმედი ლავის მოულოდნელად მწყობრიდან გამოსვლა აქ არავის აშინებს.

სანგრევის მუდმივი სარეზერვო ხაზი — წარმატებათა მოპოვების მტკიცე საწინდარი გახდა.

ასე მიდის წინ ტყიბულელი მეშახტე ბ. ლაღაძე. წინ მიდიან მისი ამხანაგებიც, შესანიშნავი შრომითი ტრადიციის ღირსეული მემკვიდრეები.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ბ. ლაღაძე.

ჯილდოები მეშახტეებს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და მაღალი მაჩვენებლებისათვის შრომაში მოწინავე მეშახტის წოდება მიანიჭეს და „მეშახტის დიდებისა“ ნიშნებით დაჯილდოვეს ქვანახშირის მრეწველობის მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი ჯგუფი.

„საპატიო მეშახტის“ წოდება მიენიჭათ ტყიბულის ქვანახშირის სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის მუშებს შ. სანთელაძესა და გ. წიქარიშვილს, ამავე შახტის მებიგეს შ. ჯანელიძეს, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის დასაღლეთის შახტის საწმენდი სანგრევის მუშებს ვ. ჭანკვეტაძეს, ო. გოჩელაშვილსა და კ. კუბლაშვილს, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მებიგეს ლ. მინდიაშვილს, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის მოსამზადებელი და საწმენდი უბნების მუშებს მ. ბარშაკს, ნ. მელნიკოვს, ს. ხარჩილავას, ნ. კოვეშნიკოვს და სხვებს.

„მეშახტის დიდების“ პირველი ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულია ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის უბნის უფროსი ვ. კვასტანაი, „მეშახტის დიდების“ მეორე ხარისხის ნიშნით დაჯილდოებული არიან ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობისა და დასავლეთის შახტების მუშები დ. ჩაფიძე, ა. ცერცვაძე, ლენინის სახელობის შახტის ამფეთქებელი ოსტატი ი. მანგაგაძე, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 1, 2, 4, 6 შახტებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშები და მეშაკები ჯ. ჯორდანია, ბურავი, ი. გეგეა, მ. ფხრი, ა. ლადარია, გ. მდივნიშვილი, ო. სურმანიძე, ბ. ჭეიშვილი, ასაცილის ქვანახშირის მაღაროთასამმართველოს № 1 შახტის საწმენდი სანგრევის მუშა და უბნის უფროსი ვ. კუპრაძე, ვ. ხარაიშვილი და სხვები. (საქდესი).

შეხვედრა შრომის ვეტერანებთან

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კლუბი სავსეა ადამიანთა ტალღებით. ეს ადამიანები ... [illegible] ... ერთი მათგანია მეორე სართავი ... [illegible] ... ამ ... [illegible] ... ეს ... [illegible] ... ეს ... [illegible] ... ეს

საბჭოთა დელეგაცია სამშობლოში გამოემგზავრა

ულან-ბატორი, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორიდან სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. ი. პოროფეოვის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების 10-20 წლისთავის დღესასწაულში.

დღესასწაული ფხენიანში

ფხენიანი, 8 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 17 წლისთავის წინა დღეს სადღესასწაულოდ მორთო სახალხო კორეის დედაქალაქი ფხენიანი. ყველგან ფრიალებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლურჯ-წითელი სახელმწიფო ალმები. ცენტრალურ მოედნებსა და მაგისტრალებს ამშვენებენ ფეიერდოვანი ტრანსპარანტები. მაღაზიები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები მორთულია გემოვნებით გაფორმებული პლაკატებით, რომლებსაც აწერია თარიღი „9 სექტემბერი“.

დღეს სალამოს ფხენიანის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ დიდი თეატრის დარბაზში, სადაც გაიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 17 წლისთავისადმი მიძღვნილი სახეიმო სხდომა.

მოხსენება გააკეთა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ კიმ გვან ხებმა. მან რესპუბლიკის ყველა მრრომელს მიულოცა ეროვნული დღესასწაული და აღნიშნა ის დიდი წარმატებანი, რასაც განვლილ პერიოდში დემოკრატიულმა კორეამ მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მომხსენებელი შეეხო სამხრეთ კორეაში შექმნილ მდგომარეობას, სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების საკითხს და, კერძოდ, განაცხადა, რომ მხოლოდ იმ პირობით თუ ამერიკამ თავისი ჯარები გაიყვანა სამხრეთ კორეის ტერიტორიიდან, შეიძლება გადაიკრას კორეის გაერთიანების პრობლემა.

კიმ გვან ხები შეეხო ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ და თქვა:

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მთელი კორეელი ხალხი სრულ სოლიდარობას უცხადებენ მომძე ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას და მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესიული მოქმედება სოციალისტური სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ფხენიანი, 9 სექტემბერი. დღეს კორეელი ხალხი საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ რესპუბლიკის დღეს. დილიდანვე სახალხო კორეის დედაქალაქის ქუჩები აივსო სადღესასწაულოდ გამოწყობილი ფხენიანელებით.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთმა „სონდონ სინმუნმა“ დღეს დაბეჭდა მოწონებული სტატია „კორეელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების დროშა“. გაზეთი ეხება რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიურ წარმატებებს 17 წლის მანძილზე.

მთელი დღე ქალაქის სხვადასხვა კუთხეში გაისმოდა მუსიკა და სიმღერა, მასობრივი სახალხო სეირნობა გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

ზეიმი გულგარეთში

სოფია, 9 სექტემბერი. (საკდესი). სახალხო ბულგარეთის მშრომელები დღეს აღნიშნავენ ეროვნულ დღესასწაულს — თავისუფლების დღეს — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავს.

წითელი და სამფეროვანი ეროვნული ალმებით, ტრანსპარანტებით არის მორთული რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები. ქუჩები და მოედნები სავსეა მოზეიმე ხალხით.

ლამაზად არის მორთული სოფიის 9 სექტემბრის სახელობის მოედანი, სადაც სამხედრო პარადი გაიმართა. გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნებზე იუვნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

პარადის შემდეგ გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მოჰქონდათ დროშები და ალმები, ყველგან მოჩანდა ლამაზად გაფორმებული ტრანსპარანტები ლოზუნგებით, რომლებიც ადიდებენ ბულგარელი ხალხის გამარჯვებებს სოციალისტურ მშენებლობაში, ბულგარეთის კომუნისტურ პარტიასა და სახალხო მთავრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სოციალიზმის მძლეთამძლე ბანაკსა და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას.

საზეიმო მანიფესტაციები გაიმართა ბულგარეთის ყველა ქალაქსა და სოფელში.

„ბაისნა“ საპარლამენტოთაშორისო კავშირის კონფერენცია

ოტაკა, 9 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ოტაკაში კანადის პარლამენტის შენობაში გაიხსნა საპარლამენტთაშორისო კავშირის 54-ე კონფერენცია. პირველ სხდომაზე კონფერენციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს კანადის საპარლამენტო დელეგაციის მეთაური სენატორი ჟან-მარი დესიერო. არჩევნების შემდეგ დაიწყო საერთო დისკუსია წინასწარ დღის წესრიგის გამო.

კონფერენციის მუშაობაში, რომელიც 17 სექტემბრამდე გაგრძელდება, მონაწილეობენ დაახლოებით 60 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაციები.

დამთავრდა ფიზიოლოგთა კონგრესი

ტოკიო, 9 სექტემბერი. (საკდესი). მუშაობა დამთავრა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კავშირის 23-ე კონგრესმა, რომელიც იაპონიის დედაქალაქში მიმდინარეობდა. კონგრესში მონაწილეობდა მსოფლიოს 70 ქვეყნის 3 ათასამდე მეცნიერი.

კონგრესი რვა დღეს მუშაობდა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს ნერვული სისტემის, საგმლის მონელების, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიის საკითხები და ფიზიოლოგიის სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს საბჭოთა დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მასალებს, რომლებიც კონგრესზე იყო წარმოდგენილი, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით ფიზიოლოგიის მეცნიერებათა განვითარებისათვის, არამედ, აგრეთვე მთელი რიგი პრაქტიკული დარგებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, მედიცინა; პედაგოგიკა და სხვ. საბჭოთა მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ბევრ ქვეყანაში და განსაკუთრებით იაპონიაში ნერვული სისტემის ფიზიოლოგიაში კვლევა მიმდინარეობს დიდი რუსი მეცნიერის ი. პ. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე.

კონგრესის დღეგანდელ დასკვნითს სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ზოგიერთი დელეგაციის მეთაურებმა. საბჭოთა მეცნიერმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სრულიად საკავშირო ფიზიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარემ ლ. გ. ეორონინმა აღნიშნა, უნდა შეეინარჩუნოთ მშვიდობა დედამიწაზე, ვინაიდან იგი მეცნიერების განვითარებისა და კაცობრიობის ბედნიერების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

კონგრესის მონაწილეებმა ნაიღეს გადაწყვეტილება მორიგი კონგრესი მოიწვიონ ვაშინგტონში 1968 წლის სექტემბერში.

◆

ტოვებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). განვლილი ოთხი დღის მანძილზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დასავლეთ გერმანიიდან და დასავლეთ ბერლინიდან გადმოსახლდა 106 კაცი. ამას იუწყება ადნ-ის საგენტო.

საკადრისი პასუხი

კამპალა, 8 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კაშიროვი გვაუწყებინებს:

უგანდის ეროვნულ კრებაში მიმდინარეობს კამათი მილტონ ობოტის მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე. კამათის დროს შეეხნენ უგანდის მთავრობის დელეგაციის ვიზიტს საბჭოთა კავშირში. დელეგაციის მეთაური იყო პრემიერ-მინისტრი ობოტი. მთელი რიგი ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები შეეცადნენ პარლამენტის ტრიბუნა გამოეყენებინათ ომისათვის, რომ ჩრდილოეთ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისათვის აფრიკის მიმართ. მათი სიტყვები აშკარად გარედან იყო ნაკარნახევი და შეიცავდნენ დასავლეთის პრესის გაცვეთილ ანტიკომუნისტურ თეზისებს.

საბჭოთა კავშირ-უგანდის თანამშრომლობის მოწინააღმდეგეებს საკადრისი პასუხი გასცა თავდაცვის მინისტრმა ფელიქს ონამამ.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ფაქტები აფრიკის მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ, თქვა მინისტრმა. უგანდასა და საბჭოთა კავშირს ერთნაირი პოზიციები უკავიათ საერთაშორისო და აფრიკის პრობლემებში. ჩვენი ორი ქვეყნის მთავრობები იდენტური შეხედულებებისა არიან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის მოსპობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცება საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის.

სსრ კავშირი ეთანხმება უგანდას და აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას კონგოსა და სანჭრეთ როდეზიის მდგომარეობის მოწესრიგების საკითხებში.

დეპუტატთა უმრავლესობა შარს უჭერს და იწონებს პრემიერ-მინისტრ ობოტის ვიზიტს საბჭოთა კავშირში.

ჩინეთის ნოტა ინდოეთისადმი

პეკინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტას ინდოეთის მთავრობისადმი, რომელშიც „მტკიცე პროტესტია“ გამოთქმული იმის წინააღმდეგ, რომ აგვისტოში ინდოეთის ჯარები ხელყოფდნენ ჩინეთის ტერიტორიასა და სუვერენიტეტს“, დასავლეთ გერმანიის „ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს, რომ ამ ნოტამ „სერიოზული შეშფოთება გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოების დედაქალაქებში“.



ნორვეგია. „ვოლგის“ მარკის საბჭოთა ავტომობილები ოსლოს რკინიგზის ვაგზალთან.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

მატარებლების გამოთავისუფლება

ბანოი, 9 სექტემბერი. (საკდესი). 7 სექტემბერს ამერიკის რეაქტიული ავიაგამანადგურებლები არაერთგზის შეეჭრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, დაბომბეს და სროლა აუტეხეს თხან-ჰოისა და ნგე-ანის პროვინციებსა და ვინ-ლინის რაიონის მთელ რიგ მეჯოდონო დასახლებულ რაიონებსა და სამრეწველო ობიექტებს. იმავე დღეს ამერიკული თვითფრინავები თავს დაესხნენ ქალაქ ვინს. ამას იტყობინება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის „საქართველოს მისიამ ამის გამო პროტესტი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას. პროტესტში ხაზგასმულია, რომ ეს საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის ახალი ხელყოფა და ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა უხეში დარღვევაა.

„საქართველოს“ მესიამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოსთხოვა შეწყვიტოს აგრესია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და სამშარი მოქმედება სამხრეთ ვიეტნამში. გაიყვანოს იქიდან ჯარები და გაიტანოს შეიარაღება, ზუსტად დაიცვას ჟენევის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

◆

ლამსჯელთა ლანძაკარგი ვიეტნამში

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. (საკდესი). გასული კვირის მანძილზე ვიეტნამში სამხარი მოქმედების დროს დაბოცეს ამერიკის 26 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაჭრეს — 44. ამას დღეს საგანგებოდან იტყობინება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა განცხადებას. სამი ამერიკელი უკვალოდ დაიკარგა.

◆

მსოფლიოს სხვადასხვა რაიონის 250 ფოტოსურათი

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ჰიუსტონის კოსმოსურმა ცენტრმა გუშინ გამოაქვეყნა 250 ფოტოსურათი, რომლებიც ამერიკელმა კოსმონავტებმა კუპერი და კონრადმა გადაიღეს ხომალდ „ჯემინაი-5“-ით ფრენის დროს. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ფოტოსურათების უმრავლესობაზე აღიბეჭდა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონის რელიეფი. ფოტოსურათებს შორის 26 ასახავს ჩინეთის ტერიტორიას და 5 კუბას.

პოლიტიკური პრიზისი

ათენი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ეროვნული რადიკალური კავშირის პარტიის ლიდერმა პ. კანელოპულოსმა უარი თქვა თავის წინადადებაზე დაუყოვნებლივ მოაწყოს პარლამენტის არჩევნები კონსტიტუციით გათვალისწინებული 45 დღის მაგივრად იმ პირობით, რომ არჩევნებს მოაწყობს ეროვნული რადიკალური კავშირის პარტიის მთავრობა. პ. კანელოპულოსმა წეროლი გაუგზავნა ცენტრის კავშირის ლიდერს გ. პაპანდრეუს, სადაც განმარტა, რომ უარს ამბობს თავის წინადადებაზე, ვინაიდან მას აღარ ანდაყოფილებს თავდაპირველი მოთხოვნა და ახალ პირობებს აყენებს იმისათვის, რომ ეროვნული რადიკალური კავშირის პარტია დათანხმდეს არჩევნების მოწყობაზე.

გ. პაპანდრეუმ განაცხადა, რომ ცენტრის კავშირი კვლავ დაბეჯითებით მოითხოვს: შეიქმნას საყოველთაო ნდობის დროებითი მთავრობა და მოეწყოს თავისუფალი არჩევნები კონსტიტუციით დაწესებულ ვადებში.

კანელოპულოსის უკანდახევის შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა „დეპუტატებზე ნადირობა“, რომელიც 15 ივნისის გადატრიალების ორგანიზატორებმა დიწყეს. ამ ნადირობის მიზანია რადაც უნდოდეთ „ეროვნული ერთიანობა“ ელინეთში.

ბიოქიმიური მეცნიერების მოამაგე

ორმა დიდმა ფიზიოლოგმა — პავლოვმა და ვეიდენსკიმ მეცნიერებას აზიარეს აკადემიკოსი ა. პალადინი და ჩაუნერგეს მას ფიზიოლოგიისადმი ინტერესი. შემდგომში ა. პალადინი იწყებს ბიოლოგიური ქიმიის პრობლემების დამუშავებას.

1908 წელს ა. პალადინმა, პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტში ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტად რომ მუშაობდა, დააარსა ბიოქიმიური ლაბორატორია. იქ იგი ატარებდა გამოკვლევებს აზოტური ცვლის შესახებ. თავისი გამოკვლევების შედეგები მან გადმოსცა მონოგრაფიაში „გამოკვლევები ცხოველურ ორგანიზმში კრეატინის წარმოქმნისა და გამოყოფის შესახებ“, რომელშიც იგი მივიდა დასკვნამდე, რომ კრეატინის წარმოქმნის ერთ-ერთ წინამორბედს არგინინი წარმოადგენს. ა. პალადინის ორმოცდაათი წლის წინანდელი ეს აღმოჩენა ბიოქიმიის ოქროს ფონდშია შესული. ამ ხნის განმავლობაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება კრეატინის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ა. პალადინის მონოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროშიც. მას სწავლობენ აზოტური ცვლის სფეროში მომუშავე მკვლევარები.

ფართოდაა ცნობილი აკადემიკოს ა. პალადინის შრომები ცენტრალური ნერვული სისტემისა და კუნთოვანი მოქმედების ბიოქიმიის, ქვებისა და ვიტამინების ბიოქიმიის შესახებ.

დინამიური ბიოქიმიის საკითხების კვლევას მნიშვნელოვან ყურადღებას რომ აქცევდა, ა. პალადინი თავის შრომებში ხაზს უსვამდა ფუნქციური ბიოქიმიის პრობლემების გაღრმავებული დამუშავების აუცილებლობას. იგი ბრწყინვალე წარმომადგენელია ფუნქციური მიმართულებისა ბიოლოგიურ ქიმიაში.

აკადემიკოს ა. პალადინის დაბადების 80 წლისთავის გამო

◆

ცნობილი მისი გამოკვლევების შედეგები თავის ტვინის მორფოლოგიურად და ფუნქციურად განსხვავებული ნაწილების ქიმიური შემადგენლობის შესწავლის შესახებ. მან დაადგინა ნივთიერებათა ცვლის პროცესებში მომხდარი ის ცვლილებები, რომელიც თან ახლავს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის აგზნებასა და შეკავებას. ა. პალადინისა და მისი თანამშრომლების გამოკვლევათა შედეგები საშუალებას იძლევიან შეიქმნას ტვინის ბიოქიმიური

„რუკა“ და გაგებულ იქნას იმ ქიმიური პროცესების არსი, რომლებიც საფუძვლად უდევს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას.

აკადემიკოსი ა. პალადინი ერთ-ერთი პირველი მკვლევარია ვიტამინების პრობლემის დამუშავების სფეროში. ბიოქიმიის ამ დარგში მისი მთელი ძალა მიმართული იყო ვიტამინების მოქმედების მექანიზმისა და ავიტამინოზების დროს ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევის შესწავლისაკენ.

აკადემიკოსმა ა. პალადინმა, რომელიც 40 წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტს, შექმნა საბჭოთა ბიოქიმიკოსების დიდი სკოლა.

ბიოლოგების, ექიმების და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მრავალი თაობისათვის აკადემიკოსი ა. პალადინი ცნობილია, როგორც ბრწყინვალე პედაგოგი. მან შექმნა სახელმძღვანელო „ბიოლოგიური ქიმია“, რომელიც მრავალჯერ იქნა გამოცემული, ითარგმნა საბჭოთა რეპუბლიკების ხალხთა ენებზე და მათ შორის ქართულად. იგი გამოიცა აგრეთვე სახალხო დემოკრატიის რიგ ქვეყნებში. ა. პალადინის მოწაფეთა შორის ქართველი ბიოქიმიკოსებიც არიან.

ა. პალადინს დიდი წვლილი მიუძღვის მეცნიერული აზრის ორგანიზაციაში უკრაინასა და მის ფარგლებს გარეთ. 1928 წლიდან იგი ფიზიოლოგების, ბიოქიმიკოსებისა და ფარმაკოლოგთა უკრაინის საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარეა. იგი არის ბიოქიმიკოსების საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

1964 წლიდან მას უკავია უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტი. ა. პალადინი წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ამ აკადემიის მრავალ სამეცნიერო დაწესებულებას და მათ მუშაობას წარმართავს საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრისაკენ.

პალადინის სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

ა. აკადემიკოსი ა. პალადინი დაბადების 80 წლისთავს ხვდება შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნით. იგი მეცნიერისა და ორგანიზატორის მთელ ძალასა და ნიჭს ახმარს მეცნიერების პროგრესის საქმეს, მეცნიერებისა, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება.

ვ. ასათიანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სამხედრო ხარჯები — პირველ პლანზე

პარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა 1966 წლის ბიუჯეტის პროექტი. რომელიც განსახილველად გადაეცემა პარლამენტს.

ბიუჯეტის საერთო ხარჯები 7 პროცენტით დიდდება გასულ წელთან შედარებით.

სამხედრო ხარჯები ოფიციალურად 5,63 პროცენტით გადიდდება: გარდა ამისა ზოგიერთი სამოქალაქო უწყების ხარჯების ნაწილი ემსახურება სამხედრო მიზნებს. — მაგალითად, ასეგნენი ზოგიერთი მეცნიეროული კვლევისათვის.

შემცირებულია მთელი რიგი ასიგნებანი სამოქალაქო საჭიროებისათვის. გაუქმებულია ხარჯების დიდი ნაწილი, რომლებიც გათვალისწინებული იყო საბინაო მშენებლობისათვის და წინათ ბიუჯეტში შედიოდა.

ბიუჯეტის საერთო ხასიათი ხელსაყრელია მსხვილი მეწველებისათვის. მეწველთა ზოგიერთი გადასახადი მცირდება, მაშინ, როცა ყველაზე მძიმე გადასახადები კვლავ მოდის მშრომელთა ფართო მასების წილად.

მიტინგი და დემონსტრაცია ათენში

ათენი, 9 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. **სიმონინი** იტყობინება:

გუშინ საღამოს უამრავი ხალხი შეიკრიბა საბერძნეთის დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. საბერძნეთის დემოკრატიისათვის ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლის — ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ათეულ ათასობით მომხრე მოვიდა მიტინგზე პარტიის მოწოდების პასუხად „კონსტიტუციის დასაცავად“. დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ ასობით პლაკატი და ტრანსპარანტი, რომლებზეც ეწერა: „არჩევნები!“, „სუფერეული ხალხი გაიმარჯვებს!“, „ფაშიზმი დამარცხდება!“, „მთავრობას ამერიკელები, ნატო და კარი კი არა ხალხი არჩევს!“ და სხვ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ი. ილიუმ. მან მემარცხენე პარტიის სახელით მოიხოხავა დაუყოვნებლივ მოეწყოს პარლამენტის თავისუფალი არჩევნები, რათა ბოლო მოეღოს პოლიტიკურ კრიზისს და ბერძენ ხალხს მიეცეს იმის უფლება, რომ გამოთქვას თავისი აზრი, თუ რომელი მთავრობა სურს.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია.

ოთხ საათს შეწყდა მოძრაობა ათენის ცენტრში. წესრიგის დასაცავად მობილიზებული იყო პოლიციელთა დიდი რაზმები, ჯავშნიანი მანქანები და სახანძრო მანქანები. მიტინგისა და დემონსტრაციის მონაწილეებმა მაღალი დისციპლინა და ორგანიზებულობა გამოიჩინეს. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

◆

ჩაბასტრროპეები საფრანგეთის გზებზე

პარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, საფრანგეთის გზებზე 1965 წლის მეორე კვარტალში უბედური შემთხვევების შედეგად დაიღუპა 2.870 კაცი და დაშავდა — 74.688. ამ ხნის მანძილზე აღირიცხება 54.556 კატასტროფა.

ბრეზნევი ბონნში

ბონნი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ბონნში ჩავიდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტ. ჟივკოვის ხელმძღვანელობით ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

ბულგარეთ-ალბანეთ-ჩინეთ-ინდონეზიის ურთიერთობა

ტირანა, 9 სექტემბერი. (საკდესი). ალბანეთ-ინდონეზიის ურთიერთობა ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ინდონეზიის ელჩი ალბანეთში ბ. ბ. ბ.

სლოვაკი რაჩელები რაჭველებთან

მეგობრობა გზად და ხიდად

□

უკან დარჩა კვანსა, ალპური ზონა. კალდის გაყოლებით მიმავალები საავტომობილო გზა. მარჯვნივ მწვანით შეფოსილი, ცაფაზიდული მთები ეხაცუ-ლებიან ერთმანეთს, ბუნების საოცარი სურათები აშლეს ჩვენს თვალწინ. ძნელია თვალი მოუყაროო მთისა და ვაკე ადგილებს თავისებურ შეხამებას, ადამიანს თავის სასარგებლოდ რომ გამოუყენებია, და მთები ნაირფერი ყვავილებით დაეხატავს. მთის ფერდობებზე მერცხლის ბუდეებსავით შეფენილა რაჭული სოფლები.

ლერო კამკამა ცის ფონზე ისალტება მრისხახე კავკასიონი. რაც უფრო ღრმად მივიწევთ რაჭისაკენ, კავკასიონი თანდათანობით გვიახლოვდება და არწივების და შურთხების მარად ჰაერა სამფლობელო ჩნდება.

ბუნების ამ საოცარი სილამაზით დამტკბარი სლოვაკები აღტაცებას ვერ მალავენ და ერთმანეთს სულ ახალ სანახაობებს აჩვენებენ. მთის მშვენება არც ტატრების შვილებისათვის არის უცხო, მაგრამ აქ სულ სხვა სილამაზეა.

ონის გზაზე პიპილეთის ხიდთან მასპინძელთა მსუბუქი ავტომობილების კოლონა გამოჩნდა. ავტობუსი გაჩერდა, და ძვირფას სტუმრებს მასპინძლებთან შეკრებილნი ტაშით ეგებებიან.

— ვიტაშე ვას, სუდრუგ!

— გამარჯობა, ამხანაგო!

— ვიტაშეს ვას, პრიატელსტვო!

— გამარჯობათ, მეგობრებო!

გაისმის მისალმების სიტყვები სლოვაკურ და ქართულ ენებზე.

საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი მ. ბიბილაშვილი, სტუმრებს მსუბუქ ავტომობილებში ეპატიჟება. მგზაურობა გრძელდება.

ბრატისლავა-რაჩის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტუმრთა სპატივცემლოდ ამბროლაურში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე პროფესორი ღ. ლორთქიფანიძე, საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი ნ. ჩხეიძე და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

სანამ სტუმარ-მასპინძლების შეხვედრაზე გასაუბრებით, გვინდა გაგაცნოთ, როგორ მოხვდნენ შორეული ტატრების მკვიდრნი რაჭაში.

ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს შრომელები უკვე რამდენიმე წელია ერთმანეთის ხშირი სტუმრები არიან. მეგობრული ურთიერთობა თანდათანობით მკვიდრდება და მტკიცდება. სლოვაკების უყურადღებ მიაღწია საქართველოს მევენახეთა წარმატებამ, რაც არაერთხელ აღიარეს მსოფლიოს მევენახეებმა და მეღვინეებმა.

და აი ბრატისლავა-რაჩის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მათი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და საქართველოს მეგობრობის საზოგადოებების დახმარებით წეროლობითი ურთიერთობა დაამყარა ამბროლაურის რაიონის სადმელის კოლმეურნეობასთან. სადმელელებმა თავიანთ საპობლში მოიწვიეს მორეული მეგობრები, და აი ახლა უკვე ისინი მათი მასპინძლები არიან.

კლდეების შესაყართან თითქოს ადამიანის გოლიათურ მარჯვენას გზისათვის კარი შეუბამს. თაიისთან გვეპატიჟება ხიდიკარი. სოფლის შესასვლელში გზებზე გამოსულა დიდი და პატარა. ისინი მეგობრულად უქნევენ ხელს ძვირფას სტუმრებს, კოლმეურნეობის ლამაზ ორსართულიან კანტორასთან ხალხი შეკრებილა. შორი გზიდან ჩამოსულ სლოვაკ რაჩელებს ქართულ სუფრასთან იწვევენ.

ხიდიკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ონსიმე გოცირიძე გულითადად მიეგებება სლოვაკ რაჩელებს, რომლებიც მათ ოაიონში პირველი სტუმრები არიან ცენტრალური ევროპიდან და სკამს მათს სადეგრძელოს. გაისმის ქართული „ზრაველჟამერი“. მას სლოვაკური სიმღერა „მნოგალეტა ეიეიო“ ცვლის. გეგუნების ქართული და სლოვაკური ზრამის სიმღერები, მთები ეკოს იძლევიან, ზეიმობს დიდი და პატარა.

დილეგაცია გზას განაგრძობს. ნთავარი მასპინძელი ხომ სადმელის კოლმეურნეობაა. მანქანების კოლონა ადამიანების ოცცხელ კედლებშეა მიეგებრება.

სოფლის შესასვლელში გამოკიდებულია სსრ კავშირის, საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ალმები, მთელი ხალხი გარეთ გამოსულა. ყვავილების თაიგულებით დამშვენებული პატარა გოგონები და ბიჭები წინ მოუძღვიან სადმელის კოლმეურნეებს, თავიანთ მამებსა და პაპებს.

სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, მეგობრულად ხელს ართმევენ და ხელიხელგადახვეულნი მიემართებიან მაღისაკენ. აქ სლოვაკის სტუმართა ჰატივსაცემად იმართება სახელდახელო მიტინგი.

მიტინგს ხსნის რაიკომის პირველი მდივანი მ. ბიბილაშვილი. სტუმრებს მილესმება სადმელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. მუსერიძე. იგი თავის სიტყვაში სლოვაკელ მეგობრებს აცნობს თავიანთი კოლმეურნეობის წარმატებას. სტუმრებს მილესმება და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობაზე ესაუბრება საწარმოო სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბაკურაძე.

სამასუხო სიტყვას ამბობს ბრატისლავა-რაჩის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილე გიქტორ კანდლი. იგი თანასოფლელებისა და დელეგაციის წევრთა სახელით მხურვალე სალამს გადასცემს რაჭველებს და გამოთქვამს დიდ მადლობას ასეთი გულითადი მიღებისათვის. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს აგრეთვე მათი კოლეტიურობის მიღწევებზე.

მიტინგზე ბრატისლავა-რაჩის კოოპერატივის ეკონომისტი სტანისლავ მორავჩიკი აქვეყნებს სადმელის კოლმეურნეობისადმი მათი კოლმეურნეობის მეგობრული მამართვის ტექსტს, ხოლო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სლოვაკიის კომიტეტის წარმომადგენელი ლასლო სპეკერი ო. მუსერიძეს გადასცემს სლოვაკიის აჯანყების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მედალს.

სლოვაკი რაჩელები და სადმელელები ერთად მიდიან საკოლმეურნეო ზვრების დასათვალიერებლად. თეთრი და შავი ყურძნის მიმდე მტევნებს წელში მოუხრიათ ვაზი.

— აქ რა ჯიშები გაქვთ დარგული? — დაინტერესდა ვიტორ კანდლი.

— ძირითადად „ალექსანდრეული“, „რაჭული თეთრი“, „მწვანე“, „ცოლიკაური“, „საფერავი“ და ყურძნის სხვა ჯიშები, — აცნობს ო. მუსერიძე.

სურათებზე: ბრატისლავა-რაჩის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საპატივსაცემოდ გამართული მიტინგის ტრიბუნა სოფელ სადმელში; გულთბილად ყვავილებით ეგებებიან სლოვაკელ კოლმეურნეებს სადმელელი პიონერები. (სურათი ქვემოთ). ფოტოები ე. არჩვაძისა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „კომუნისტი“ № 213.

ფრე ქუთაისში

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

1:1 (1:0). ქუთაისი. 9 სექტემბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ა. ზვერევი (ლენინგრადი).

„ტორპედო“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, წვერავა, ზარია, კუტავაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე; „სპარტაკი“ — მასლაჩენკო, ფიტკუსი, დიკარევი, პეტროვი, ვარლამოვი, როტკოვი, ამბარცუმიანი, ეშტრეკოვი (სევიდოვი), სიომინი, ჰუსაინოვი, ივნიშევსკი.

მატჩისადმი ინტერესი მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობამ განაპირობა. მართალია, ქუთაისის „ტორპედო“ ვერ იქნა და ვერ ასცილდა უკანასკნელისწინა მეთექვსმეტე ადგილს, მაგრამ არც სსრ კავშირის თასის მფლობელის — მოსკოვის „სპარტაკის“ მდგომარეობაა სახარბიელო. იგი აუტსაიდერთა ყველაზე ახლო მეზობელია.

შეხვედრა იმით დაიწყო, რომ მასპინძლებმა პირველსავე წუთზე შეძლეს მეტოქის კარის აღება. გოლს ავტორი იყო ტორპედოელთა კაპიტანი ხაჟალია. ასეთმა დასაწყისმა სპარტაკელთა რიგებში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. იყო ეპიზოდები, როდესაც სტუმრებს წონასწორობის აღდგენა შეეძლოთ, მაგრამ შესაძლებლობები გამოუყენებელი დარჩა.

მეორე ნახევარში ეშტრეკოვის შეცვლამ სვევდოვით სპარტაკელებს სასურველი შედეგი მოუტანა. სწორედ მან შეძლო სასასუხო ბურთის გატანა. გასაოცარ საკუთრებით მძაფრი იყო უკანასკნელი წუთები. იგი ორმხრივი იერიშებით ხასიათდებოდა, მაგრამ წარმატებისათვის არც ერთ მხარეს არ მიუღწევია, საბოლოოდ ფრე — 1:1.

ერთიანი ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

ქუთაისში სპორტი

3. სხვილოვი ლიდერია

ბავანა, 9 სექტემბერი (საკადესი). კაპაბლანკას მემორიალის მეათე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ვ. სხვილოვმა** პირველად ჩაიწერა ხახეევი ქუა სატურნირო ცხრილში — შვიდი გამარჯვებისა და ორი დამარცხების შემდეგ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა **რ. ხოლმოვთან**. ახლა **ვ. სხვილოვს** 7,5 ქულა აქვს და ტურნირის ერთპირიანელი ლიდერი გახდა, რადგან მისი ძირითადი კონკურენტები — ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი **რ. ფიშერი** და იუგოსლავი **ბ. ივკოვი** ვერ „შეხვდნენ“ ერთმანეთს ნიუ-იორკთან ყუდი კავშირის გამო.

მშვიდობიანად დამთავრდა აგრეთვე **ე. გელერის** შეხვედრა რუმინელ **ვ. ჩოკილტიანთან**, ჩეხოსლოვაკელი გროსმაისტერის **ლ. პახმანის** — **ბ. პარმასთან** (იუგოსლავია), კუბელი **ე. კობოსი** — ინგლისელ **რ. ვეიდთან**, აგრეთვე უნგრელების **ი. ბილეკისა** და **ლ. საბოს** შეხვედრა.

ათი ტურის შემდეგ **ივკოვსა** და **ფიშერს** 7—7 ქულა აქვთ ცხრა შესაძლებელში. ამდენივე აქვს **გელერს**, მაგრამ ათ შესაძლებელში. ხოლმოვმა და პახმანმა 6,5-ნ,5 ქულა მოაგროვეს.

„დიდი ორმაგრძოლა“ თბილისში გაიმართება

მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტების საბჭოთა გროსმაისტერი **ლ. ბოტვინიკი** ჩემპიონატის **ბ. ფიშერის** ფინალური მატჩი გაიმართება თბილისში 31 ოქტომბრიდან 28 ნოემბრამდე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა.

მეტოქეებმა უნდა ითამაშონ თორმეტი პარტია. თუ მატჩი ყაიმით (6:6) დამთავრდება, მოიწყობა ოთხი დამატებითი პარტია, რომელთაგან თითოეული შეიძლება საბოლოო აღმოჩნდეს, თუ ერთ-ერთი მონაწილე გაიმარჯვებს. თუ ეს პარტიებიც ყაიმით დამთავრდება, გამარჯვებული გამოვლინდება კენჭისყრით.

რეგლამენტით თითოეული პარტიის შემდეგ მოიწყობა გადადებული პარტიის დამთავრება. ამრიგად, ყოველ კვირაში მეტოქენი სამ პარტიას ითამაშებენ. პირველი ტური 1 ნოემბერს გაიმართება. (საკადესი).

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

არმაზი ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელები ტაშკენტს ეწვევნენ და აქ პაექრობა ჰქონდათ ადგილობრივ „პახტაკორთან“. მატჩის შედეგია 2:0 „პახტაკორის“ სასარგებლოდ.

სპარტაკშირო ჩემპიონატის ლიდერმა მოსკოვის „ტორპედომ“ საკუთარ მოედანზე მიიღო პირველობის აუტსაიდერი ოდესის არმაზის სპორტული კლუბის გუნდი. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა 2:0.

ბაკოში ადგილობრივი „ნეფტიანიკისა“ და დონის როსტოვის არმის სასპორტო კლუბის გუნდის შეხვედრა დამთავრდა ბაკოელთა გამარჯვებით 1:0.

ლენინგრადში თამაშობდნენ „ზენიტი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. მასპინძლები წარმატებას ელოდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით — დამარცხდნენ 0:2.

ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცს“ პაექრობა ჰქონდა „კუბანშეკის „კრილია სოვეტოვთან“. შეხვედრის შედეგია 3:2 „ჩერნომორეცის“ სასარგებლოდ.

8 სექტემბერს მილანის ცნობილი კლუბის „ინტერნაციონალეს“ ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის თასის მფლობელთა შეჯიბრებაში. ერერას აღზრდილებმა ინგლისთან 3:0 დამამარცხეს არგენტინის „ინდეპენდიენტეს“ ფეხბურთელები.

სამასუხო შეხვედრა 15 სექტემბერს გაიმართება ბუენოს-აირესში.

ოთხშაბათს კიდევ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ოფიციალური მატჩი გაიმართა. თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში ლეიფის „სტანდარდმა“ დამარცხა „ყარდიფ-სიტი“ — 2:1.

ევროპის ჩემპიონთა თასზე ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ მეორე მატჩიც მოუგო ისლანდიის ჩემპიონს „ქიფლავიკს“ — 9:1. ამ გუნდების პირველი შეხვედრა აგრეთვე „ფერენცვაროშის“ გამარჯვებით დამთავრდა — 4:1.

როტერდამში ჰოლანდიის „ფეიენოორდმა“ სძლია მადრიდის „რეალს“ — 2:1. „ფენერბახჩესა“ და ბელგიის „ანდერლეხტის“ მატჩი სტამბოლში ფრედ — 0:0 დამთავრდა. (საკადესი).

მატჩები და შედეგები

„დიდი ორმაგრძოლა“ — „ინტერის“ გამარჯვება

ბანანა, 9 სექტემბერი (საკადესი). კაპაბლანკას მემორიალის მეათე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ვ. სხვილოვმა** პირველად ჩაიწერა ხახეევი ქუა სატურნირო ცხრილში — შვიდი გამარჯვებისა და ორი დამარცხების შემდეგ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა **რ. ხოლმოვთან**. ახლა **ვ. სხვილოვს** 7,5 ქულა აქვს და ტურნირის ერთპირიანელი ლიდერი გახდა, რადგან მისი ძირითადი კონკურენტები — ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი **რ. ფიშერი** და იუგოსლავი **ბ. ივკოვი** ვერ „შეხვდნენ“ ერთმანეთს ნიუ-იორკთან ყუდი კავშირის გამო.

მშვიდობიანად დამთავრდა აგრეთვე **ე. გელერის** შეხვედრა რუმინელ **ვ. ჩოკილტიანთან**, ჩეხოსლოვაკელი გროსმაისტერის **ლ. პახმანის** — **ბ. პარმასთან** (იუგოსლავია), კუბელი **ე. კობოსი** — ინგლისელ **რ. ვეიდთან**, აგრეთვე უნგრელების **ი. ბილეკისა** და **ლ. საბოს** შეხვედრა.

ათი ტურის შემდეგ **ივკოვსა** და **ფიშერს** 7—7 ქულა აქვთ ცხრა შესაძლებელში. ამდენივე აქვს **გელერს**, მაგრამ ათ შესაძლებელში. ხოლმოვმა და პახმანმა 6,5-ნ,5 ქულა მოაგროვეს.

8 სექტემბერს მილანის ცნობილი კლუბის „ინტერნაციონალეს“ ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის თასის მფლობელთა შეჯიბრებაში. ერერას აღზრდილებმა ინგლისთან 3:0 დამამარცხეს არგენტინის „ინდეპენდიენტეს“ ფეხბურთელები.

სამასუხო შეხვედრა 15 სექტემბერს გაიმართება ბუენოს-აირესში.

ოთხშაბათს კიდევ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ოფიციალური მატჩი გაიმართა. თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში ლეიფის „სტანდარდმა“ დამარცხა „ყარდიფ-სიტი“ — 2:1.

ევროპის ჩემპიონთა თასზე ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ მეორე მატჩიც მოუგო ისლანდიის ჩემპიონს „ქიფლავიკს“ — 9:1. ამ გუნდების პირველი შეხვედრა აგრეთვე „ფერენცვაროშის“ გამარჯვებით დამთავრდა — 4:1.

როტერდამში ჰოლანდიის „ფეიენოორდმა“ სძლია მადრიდის „რეალს“ — 2:1. „ფენერბახჩესა“ და ბელგიის „ანდერლეხტის“ მატჩი სტამბოლში ფრედ — 0:0 დამთავრდა. (საკადესი).

„ინტერის“ გამარჯვება

„დიდი ორმაგრძოლა“ თბილისში გაიმართება

გაფაფაშვილების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 10 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	22	15	5	2	36-13	35
„დინამო“ (კ.)	20	12	5	3	35-15	29
„დინამო“ (მნ.)	21	10	6	5	24-18	26
ცსკა	22	9	8	5	25-15	26
სკა (როსტ.)	22	7	9	6	24-21	23
„დინამო“ (თბ.)	21	8	6	7	22-19	22
„ზენიტი“ (ლ.)	21	7	8	7	24-21	22
„დინამო“ (მ.)	21	6	9	6	24-21	21
„კრ. სოვ.“ (ეუიბ.)	21	7	7	7	26-25	21
„ჩერნომორ.“ (ო.)	22	8	5	9	29-30	21
„ლოკომოტ.“ (მ.)	24	7	7	10	34-39	21
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	22	8	4	10	21-27	20
„სპარტაკი“ (მ.)	21	6	7	8	16-17	19
„შახტიორი“ (დ.)	20	5	9	6	19-21	19
„პახტაკორი“ (ტ.)	20	5	8	7	20-27	18
„ტორპედო“ (ქ.)	21	6	2	13	20-42	14
სკა (ო.)	22	2	8	17	11-44	7

თავდადება, მამაცობა

თევდორე გუსლო 42 წლისა იყო, ანატოლი სუბანოვი კი სულ 18-ისა. ანატოლი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა და მემანქანის თანამშრომელ მუშაობდა ბორის ბობკოვის თბომავალზე. ორი რკინიგზელი ბ. მ. ბობკოვი და ს. პ. კიაფერი სკკპ წევრები იყვნენ, ა. ს. სუბანოვი — კომკავშირელი, ხოლო თ. კ. ბუსლო — უპარტიო. მაგრამ სოვეტილის საფრთხის წინაშე თვითეულმა მათგანმა ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა.

ოქტომბრის რკინიგზის ცალლიანდაგიან უბანზე სადგურის მორიგეების უყურადღებობის შედეგად ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით გაეშვეს ორი მატარებელი სატვირთო და სამგზავრო, მოსახვევში, როცა შემხვედრი სატვირთო შემადგენლობა სულ ნახევარ კილომეტრზე იყო, ს. პ. კიაფერმა დაინახა სწრაფად მომავალი მატარებელი. მემანქანემ ყველა ზომა მიიღო, რათა კატასტროფა არ მომხდარიყო. ასევე მოიქცა სატვირთო მატარებლის მემანქანე ბ. მ. ბობკოვი. მაგრამ მანძილი მცირე იყო... რკინიგზელებმა თავი გასწორეს და ასობით მგზავრი გადაარჩინეს.

სმერდლოვსკის ტურბინმოტორის ქარხნის უფროსმა ინჟინერმა, სახალხო რეზერვისტ პ. ს. კორეკინმა დაკავება დამბლაგვ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრა. ბანდიტი დაატაცმრეს და სოკვდილი მიუსაჯეს.

მორიგი რეისით ჩამოუარეს მაღაზიებს, კინოთეატრებსა და კაფეებს სახელმწიფო ბანკის კურსკის საოლქო კანტორის მძღოლმა პ. ლ. სერგეევმა და ინკასატორებმა ა. ბ. როდიონოვმა და ი. ვ. ბელიაევმა... მუშათა დაბის გასტრონომი შორს არის ქალაქის ცენტრიდან. მაღაზია ისა-ის იყო დაიბურა. ი. ვ. ბელიაევი, რომელსაც ჩანთაში დასხლეტებით 2.500 მანეთი ჰქონდა, კარისკენ გაემართა. მაგრამ მას გზა გადაუღობა ვიღაც უცნობმა. თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ თავში სამინლად დაარტყეს რაღაც. მოლარე ბანდიტს იგერიებდა და ორჯერ გაისროლა ჰაერში, მესამედ კი მძარცველს ესროლა. ინკასატორს მძღოლი პ. ლ. სერგეევი მიეშველა, მეორე ინკასატორმა ა. ბ. როდიონოვმა ვერ დაბოვა ავტომანქანა, რომელშიც ასი ათას მანეთზე მეტი იყო.

ინკასატორების თავდადებისა და მოსაზრებულობის შედეგად სახელმწიფო ფული გადარჩა. (საკადესი).

საინტერესო ნაპოვნი

ყვარელი. სოფელ შაქრიანის მახლობლად, ბულდოზერზე მომუშავე ბ. ზუთაბაშვილმა მიწის ზედაპირიდან 2,5 მეტრ სიღრმეზე აღმოაჩინა ქვაყუთიანი სამარხი. მექანიზატორმა შეაჩერა მუშაობა და სამარხი გახსნა. სამარხში აღმოჩნდა ქალის ჩონჩხი, ბრინჯაოს სამკაულები და კერამიკული ჭურჭელი. აღნიშნული სამკაულები გადაეცა გრემის ისტორიულ მუზეუმს. (საკადესი).

ალექსანდრე ლუკინი

ოპერაცია «პორი ნახტომი»

საბჭოთა მზვერავის წერილებიდან

„ბოლ ... ...“

ბ. ... ...

„ბ. ... ...“

„ბ. ... ...“

**„ბ. ... ...“